ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N95

2016 წლის 29 ივლისი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (შპს ,,მილენიუმ ტრანსი"-ს კუთვნილ ობიექტზე (ს/კ 20.37.02.126) 0.22 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე



		ENERGO-PRO
		ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ოჩხამურში მდებარე შპს "მილენიუმ ტრანს"
სპეც.	ი. ჯიბლაძე	
		სიტუაციური გეგმა
		0.22კვ. ძაბვის ეგხ-ს ტრასის გეგმა

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მ.პ.	1	1

სს ენერგო-პრო ჯორჯია
ქ. ბათუმი ბაგრატიონის ქ. N 203
2016 წ.